

შპს „KMT GROUP“ – ის ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვოპოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	13,816,732	13,151,358
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(10,410,557)	(9,754,680)
საერთო მოგება		3,406,175	3,396,678
სხვა შემოსავლები	5	25,443	24,490
ადმინისტრაციული ხარჯები		(1,400,665)	(1,189,615)
ფინანსური ხარჯები		(513,508)	(91,957)
სხვა ხარჯები	6	(227,583)	(75,048)
მოგება დაბეგვრამდე		1,289,862	2,064,548
საგადასახადო ხარჯი		(128,221)	(124,458)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		1,161,641	1,940,090

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
202 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები		31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	458,382	443,105
მიწა		516,404	460,090
არამატერიალური აქტივები	8	4,376	4,296
გაცემული სესხები		212,660	212,660
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	187,918	166,921
სულ გრძელვადიანი აქტივი		1,379,741	1,28,072
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	5,158,035	4,826,023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,889,121	2,691,298
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	119,687	257,089
სულ მიმდინარე აქტივები		8,166,843	7,774,411
სულ აქტივები		9,546,584	9,061,483
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	116,235	225,142
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		116,235	225,142
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		6,929,640	6,494,325
სულ საკუთარი კაპიტალი		6,929,640	6,494,325
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	450,793	260,325
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,842,597	1,882,580
გრძ. სასესხო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	148,468	142,259
საგადასახადო ვალდებულებები		48,104	45,404
დაქირავებულ პირთა ვალდებულებები		10,746	11,448
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,500,708	2,342,015
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,546,584	9,061,483

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	14,938,737	14,910,736
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(10,525,800)	(11,762,039)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელითგადახდილი ფულადი სახსრები	(1,119,282)	(887,712)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>3,293,655</u>	<u>2,260,985</u>
გადახდილი შოგების გადასახდი	(70,588)	(124,458)
გადახდილი გადასახდები (მოგების გადასახადის გარდა)	(2,019,745)	(1,7690,77)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(2,090,333)	(1,893,535)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>1,203,321</u>	<u>367,450</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირ. საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		
ძირ. საშუალებების და არამატერიალური აქტივების	(155,927)	(439,983)
გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(155,927)</u>	<u>(439,983)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(225,546)	(75,151)
სესხის მიღება	2,044,040	2,428,716
სესხის დაფარვა	(2,267,273)	(1,418,649)
გაცემული დივიდენდები	(726,316)	(705,243)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,175,095)</u>	<u>229,673</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	<u>(127,700)</u>	<u>157,140</u>
სავალუტო გადაფასების ზარალი	(9,702)	(6,367)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>257,089</u>	<u>106,316</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>119,687</u>	<u>257,089</u>

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
31.12.2022 ნაშთი	-	5260882.00	5260882.00
შეცდომის შესწორება		(1381.00)	(1381.00)
31.12.2022 ნაშთი კორექტირების შემდგომ		5259501.00	5259501.00
წმინდა მოგება/ზარალი	-	1940090.00	1940090.00
დივიდენდები	-	(705265.45)	(705265.45)
31.12.2023 ნაშთი	-	6494325.55	6494325.55
შეცდომის შესწორება	-	(10.00)	(10.00)
31.12.2023 ნაშთი კორექტირების შემდგომ	-	6494315.55	6494315.55
წმინდა მოგება/ზარალი	-	1161640.92	1161640.92
დივიდენდები	-	(726315.78)	(726315.78)
31.12.2024 ნაშთი	-	6929640.69	13423956.24

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „**KMT GROUP**“ რეგისტრირებულია საქართველოში 2013 წლის 22 აპრილს. საიდ. კოდი 401983136 . იურიდიული მისამართია საქართველო თბილისი კედის N10. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა. საწარმო დააფუძნებულია ორი ფიზიკური პირების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე საწარმოს ოფისი განთავსებულია თბილისში კედის N10.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაოვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად .

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიისმოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (შპსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრისპრინციპების გათვალისწინებით.

შპსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/დაფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

	უცხოური ვალუტა	31.12.2024 წელი	31.12.2023 წელი
1	აშშ დოლარში (USD)	2.8068	2.6894
2	ევრო (EUR)	2.9306	2.9753

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მო- ცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფაშპს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფაშპს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მი- ნიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირე- ბას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფი- ნანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნის სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები ასახავს როგორც ძირითადი თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებას და ნაწილდება მათ შორის ისე, რომ ფინანსური შემოსავლის აღიარება ასახავდეს ფინანსურ იჯარაში საწარმოს წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

(თ) ძირითადი საშუალებები
ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	5%
➤ მანქანა-დანადგარები	10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო	10-20%
➤ სხვა ძირითადი	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცე- მული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

(ი) არამატერიალური აქტივები
არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

(კ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გა-უფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნები-სმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდა- რდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქ- ტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვ- ისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხ- ვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისმეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდე- ბულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებულ პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ო) სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა- სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

(პ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ჟ) გაცემული სესხები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საქონლის გაყიდვა	13,782,066	13,139,155
2	მომსახურების გაწევა	34,666	12,203
	ჯამი	13,816,732	13,151,358

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		1,097
2	საპროცენტო შემოსავლები	25,443	23,393
	ჯამი	25,443	24,490

6. სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საკუროსო სხვაობა		134
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	513,508	91,823
	ჯამი	513,508	91,957

7. ძირითადი საშუალებები

ბალანსში თვითღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

	დასახელება	შენიშვნა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	თვითღირებულება							
	ნაშთი: 01.01.2024	395,685	169,069	22,981	50,308	13,834	27,581	679,458
	აქტივების შემოსვლა		2029	4435	36182	41772		84,418
	აქტივების გასვლა							0
	ნაშთი: 31.12.2024	395,685	171,098	27,416	86,490	55,606	27,581	763,876
	დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							0
	ნაშთი: 01.01.2024	82,185	70,084	17,710	33,399	6,769	26,208	236,355
	წლიური ცვეთა	26934	31799	1165	6306	2718	216.79	69,139
	გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა							0
	ნაშთი: 31.12.2024	109,119	101,883	18,875	39,705	9,487	26,425	305,494
	საბალანსო ღირებულება 31.12.2024	313,500	98,985	5,271	16,909	7,065	1,373	443,103
	საბალანსო ღირებულება 31.12.2024	286,566	69,215	8,541	46,785	46,119	1,156	458,382

საწარმოს ბალანსზე რიცხული 78,220 ლარის ღირებულების მიწა და მასზე მიმაგრებული 276, 806 ლარის ღირებულების შენობა 2017 წლის 17 თებერვლით დათარიღებული N670654222-021 იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე დატვირთულია იპოთეკით როგორც სესხის უზრუნველყოფის საგანი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს სასახო ვალდებულებები ბანკის მიმართ შეადგენს 2104762 ლარს.(შენიშვნა N14)

8. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
	თვითღირებულება				
1	პროგრამული უზრუნველყოფა	10,186	687	-	9338
	ჯამი	10,186	687	-	9,338
	დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	ნაშთი 31.12.2024	წლიური ამორტიზაცია	გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2024
1	პროგრამული უზრუნველყოფა	5,809	767	-	5,042
	ჯამი	5,809	767	-	5,042
	საბალანსო ღირებულება 31/12.2024	4,376			4,296

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	მომავალი პერიოდის ჩასათვლელი დღგ	31,583	36,030
2	მისაღები პროცენტები	156,335	130,891
	ჯამი	187,918	166,921

10. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საქონელი	5,087,721	4,775,009
2	მზა პროდუქცია	50,743	27,620
3	სხვა მარაგი	19,571	23,394
	ჯამი	5,158,035	4,826,023
	პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგისთვის დირეზულირება	10,410,557	9,754,680

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო დებიტორები	1,355,575	855,493
	გაუფასურების ზარალის თანხა	0	0
2	სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	1,355,575	855,493
3	წინასწარი გადახდები	1,533,546	1,835,736
	ჯამი:	2,889,121	2,691,229

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	ფულადი სახსრები სალაროში	32,885	71,005
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	72,121	114,252
3	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - უცხოური ვალუტა	14,682	71,832
4	გზაში მყოფი ფულადი სახსრები-ლარი	-	-
	ჯამი:	119,687	257,089

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო ვალდებულებები	444,862	248,272
2	წინასწარ მიღებული თანხები	5,931	12,053
	ჯამი:	450,793	260,325

14. სავალო ინსტრუმენტის პირობები

	სესხის ვალუტა	ნაშთი 31.12.2024		საპროცენტო განაკვეთი%	დაფარვის ვადა	
		უცხოურ ვალუტა	ლარი			
ბანკის სესხი მოკლევადიანი						
საკრედიტო ხაზი	USD	306476	860217	8.42	19.02.2025	860217
საკრედიტო ხაზი	USD	350000	982380	8.58	22.05.2025	982380
ჯამი		656476	1842597			1842597
ბანკის სესხი გრძელვადიანი						მიმდინარე ნაწილი (ლარი)
ბანკის სესხი	USD	93403	262165	8.91	02.11.2026	148468
ჯამი		93403	262165			148468
სულ ნასესხები სახსრები		749880	2104762	-	-	

სავალო ინსტრუმენტით განსაზღვრული შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია გახსნილია N 7 შენიშვნაში.

მიღებული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებულმა საპროცენტო ხარჯების მთლიანმა თანხამ შეადგინა 227 583 ლარი (წინა შესადარის პერიოდში შეადგენდა (75,048 ლარს).

15. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დასახელება	კავშირი კომპანიასთან	მიწოდების ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2023	განხ. ოპერაციის ოდენობა	ნაშთი 31.12.2024	დაფარვის ვადეზი
შპს „კმთ კომპანი“	საერთო დამფუძნებლები	-	-	-		
მამუკა თოფურია	დამფუძნებელი/ დირექტორის მოადგილე	სიჯარო მომსახურება		3000		
დამფუძნებლის ოჯახის წევრები	დამფუძნებლის ოჯახის წევრები	სიჯარო მომსახურება		24,000		
შპს „გამა“	საერთო დამფუძნებლები/ მართავს კომპანიის დამფუძნებელი	პროცენტი	130,891	25443	156335	31.03.2026
შპს „გამა“	საერთო დამფუძნებლები/ მართავს კომპანიის დამფუძნებელი	სესხი	212660		212660	31.03.2026
შპს „გამა“	საერთო დამფუძნებლები/ მართავს კომპანიის დამფუძნებელი	გაცემული იჯარა	14 400	14400	28 800	მიმდინარე
შპს „გამა“	საერთო დამფუძნებლები/ მართავს კომპანიის დამფუძნებელი	საქონლის გაყიდვა	345149	49930	21625	მიმდინარე
შპს „გამა“	საერთო დამფუძნებლები/ მართავს კომპანიის დამფუძნებელი	საქონლის ყიდვა	144673	524672	0	მიმდინარე

2024 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა 45,000 ლარი. (2023 წ. – 36,875)

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 29 სექტემბერს.

შპს “KMT GROUP“-ის

დირექტორი: კობა მარგველაშვილი

29.09.2025

